

საქართველოში ძალაშია 1999 წლის 1 აგვისტოდან

ჰააგის საერთაშორისო კერძო სამართლის კონფერენცია

მეჩვიდმეტე სესია

შემაჯამებელი აქტი

ჰააგა, 1993 წლის 29 მაისი

(ამონაკრები)

ქვემოთ ხელისმომწერნი, წევრ-სახელმწიფოების: არგენტინის, ავსტრალიის, ავსტრიის, ბელგიის, კანადის, ჩილეს, ჩინეთის, კვიპროსის, ჩეხეთის რესპუბლიკის, დანიის, ეგვიპტის, ფინეთის, საფრანგეთის, გერმანიის, საბერძნეთის, უნგრეთის, ირლანდიის, ისრაელის, იტალიის, იაპონიის, ლუქსემბურგის, მექსიკის, ნიდერლანდების, ნორვეგიის, პოლონეთის, პორტუგალიის, რუმინეთის, სლოვენის, ესპანეთის, შვედეთის, შვეიცარიის, თურქეთის, დიდი ბრიტანეთის შეერთებული სამეფოსა და ჩრდილოეთ ირლანდიის, ამერიკის შეერთებული შტატების, ურუგვაისა და ვენესუელას მთავრობათა დელეგატები ქვეყნებიდან: ალბანეთი, ბელორუსია, ბენინი, ბოლივია, ბრაზილია, ბულგარეთი, ბურკინა ფასო, კოლუმბია, კოსტა-რიკა, სალვადორი, ეკვადორი, ჰაიტი, ვატიკანი, გონდურასი, ინდოეთი, ინდონეზია, კენია, კორეის რესპუბლიკა, ლიბანი, მაგადასკარი, მავრიკია, ნეპალი, პანამა, პერუ, ფილიპინები, რუსეთის ფედერაცია, სენეგალი, შრი-ლანკა, გაილანდი და ვიეტნამი, რომლებიც მონაწილეობდნენ როგორც მოწვეული ქვეყნები, ნიდერლანდების მთავრობის მოწვევით შეიკრიბნენ ჰააგაში 1993 წლის 10 მაისს საერთაშორისო კერძო სამართლის ჰააგის კონფერენციის მეჩვიდმეტე სესიაზე.

დელეგატებმა გადაწყვიტეს წარუდგინონ თავიანთ მთავრობებს კონვენციის პროექტი.

კონვენცია ბავშვთა დაცვისა და საერთაშორისო გაშვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ

ქვეყნები, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ კონვენციას აღიარებენ, რომ ბავშვს მისი პიროვნების ყოველმხრივი და ჰარმონიული განვითარებისათვის ესაჭიროება ოჯახის გარემოცვაში, ბედნიერების, სიყვარულისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში აღზრდა,

შეახსენებენ, რომ თითოეული სახელმწიფო ვალდებულია პრიორიტეტულ ამოცანად დაისახოს სათანადო მომების მიღება ბავშვის საკუთარ ოჯახში აღსაზრდელად,

აღიარებენ, რომ საერთაშორისო გაშვილება ბავშვს ანიჭებს უპირატესობას, რომელიც დაკავშირებულია მუდმივი ოჯახის არსებობასთან, თუ ასეთი ოჯახი ვერ გამოიძებნა იმ ქვეყანაში, სადაც იგი დაიბადა,

დარწმუნებულნი არიან, რომ საჭიროა ყველა ზომის გატარება იმისათვის, რომ საერთაშორისო გაშვილება მოხდეს ბავშვთა ინტერესების გათვალისწინებით და მათი ძირითადი უფლებების დაცვით, რომ აცილებულ იქნას ბავშვთა გატაცების, გაყიდვისა და ბავშვებით ვაჭრობის ფაქტები,

სურთ რა მიიღონ ამ მიზნებისათვის საერთო დებულებები საერთაშორისო დოკუმენტებში გადმოცემული პრინციპების გათვალისწინებით, კერძოდ გაეროს კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ (1989 წლის 20 ნოემბერი) გაეროს დეკლარაცია ბავშვთა დაცვისა და უზრუნველყოფის სოციალური და სამართლებრივი პრინციპების შესახებ და განსაკუთრებით, გაეროს გენერალური ასამბლეის 1986 წლის 3 დეკემბრის N 41/85 რეზოლუცია ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ბავშვთა აღსაზრდელად გადაცემისა და გაშვილების შესახებ,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

თავი I – კონვენციის ჩარჩოები

მუხლი 1.

ამ კონვენციის მიზნებია:

a) გარანტიების შექმნა იმისათვის, რომ საერთაშორისო გაშვილება განხორციელდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და საერთაშორისო სამართლით აღიარებული მისი ძირითადი უფლებების დაცვით;

b) ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ასეთი გარანტიების მოქმედებას და ამით ბავშვთა მოგაცემის, გაყიდვისა და ვაჭრობის აცილებას;

c) ხელშემკვრელი ქვეყნებში გაშვილების აღიარების უზრუნველყოფა კონვენციის შესაბამისად.

მუხლი 2.

1. კონვენცია გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვი მუდმივად მცხოვრები ერთ ხელშემკვრელ სახელმწიფოში („წარმოშობის სახელმწიფო“), გადავიდა, გადადის ან უნდა გადავიდეს მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში („მიმღები სახელმწიფო“) ან იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი იშვილეს წარმოშობის სახელმწიფოში ცოლ-ქმარმა ან მუდმივად მცხოვრებმა პირმა მიმღებ სახელმწიფოში, ან ასეთი გაშვილების მიზნად მიმღებ სახელმწიფოში ან წარმოშობის სახელმწიფოში.

2. კონვენცია ვრცელდება მხოლოდ ისეთ გაშვილებებზე, რომლებიც შექმნიან მუდმივ კავშირს ბავშვებსა და მშობლებს შორის.

მუხლი 3.

კონვენცია არ გამოიყენება თუ თანხმობა, რომელიც მითითებულია მე-17 მუხლის „c“ პუნქტში, არ იყო გაცემული ბავშვის თვრამეტი წლის შესრულებამდე.

თავი II.

საერთაშორისო გაშვილების მოთხოვნები

მუხლი 4.

კონვენციის მიხედვით გაშვილება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ

წარმოშობის სახელმწიფოს კომპეტენტური ხელისუფლება

a) დაადგინეს, რომ ბავშვის გაშვილება შესაძლებელია;

b) შესაბამისი განხილვის შემდეგ განსაზღვრავს წარმოშობის სახელმწიფოში ბავშვის მოწყობის შესაძლებლობებს და დაადგენს, რომ საერთაშორისო გაშვილება პასუხობს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს;

c) დარწმუნდა, რომ

(1) პირების, დაწესებულებებსა და ხელისუფლების, რომელთა თანხმობა აუცილებელია გაშვილების დროს, ჩაუგარდათ შესაბამისი კონსულტაციები და იყვნენ ინფორმირებული მათი თანხმობის შედეგების შესახებ, კერძოდ კი იმის შესახებ, გამოიწვევს თუ არა გაშვილება ბავშვისა და მისი წარმოშობის ოჯახს შორის სამართლებრივი კავშირის შეწყვეტას,

(2) ასეთმა პირებმა, დაწესებულებებმა და ხელისუფლებამ მისცეს თავისი თანხმობა ნებაყოფილობით, საჭირო იურიდიული ფორმით, წერილობითი დამოწმებით,

(3) თანხმობა არ იყო გაცემული გასამრჯელოს ან რაიმე სხვა სახის კომპენსაციისათვის და არ იყო გამოთხოვილი უკან,

(4) იქ, სადაც ეს საჭიროებას მოითხოვს, დედის თანხმობა გაცემული იყო მხოლოდ ბავშვის დაბადების შემდეგ,

d) ბავშვის მოწიფულობისა და ასაკის გათვალისწინებით დარწმუნდა, რომ

(1) ბავშვს მისცეს რჩევები და იგი ინფორმირებულია გაშვილების შედეგების შესახებ და საჭიროა მისი თანხმობა გაშვილებისათვის, თუ ასეთი თანხმობა საჭიროებას წარმოადგენს,

(2) მხედველობაში იქნა მიღებული ბავშვის სურვილები და აზრი,

(3) ბავშვის თანხმობა გაშვილებაზე, თუ ასეთი თანხმობა საჭიროებას წარმოადგენს, იყო ნებაყოფილობითი, შესაბამისი იურიდიული ფორმით, გამოხატული ან დამოწმებული წერილობით,

(4) ასეთი თანხმობა არ იყო გაცემული გასამრჯელოსა ან რაიმე სხვა სახის კომპენსაციისათვის.

მუხლი 5.

კონვენციის მიხედვით გაშვილებას აქვს ადგილი იმ შემთხვევაში, თუ მიმღები ქვეყნის კომპეტენტურმა ხელისუფლებამ:

a) განსაზღვრა, რომ სავარაუდო მშობლებს აქვთ შვილად აყვანის უფლება და შესაფერისი არიან ამისათვის;

b) უზრუნველყოს სავარაუდო მშობლებისათვის კონსულტაციების ჩატარება;

c) განსაზღვრა, რომ ბავშვს აქვს ამ სახელმწიფოში შესვლისა და მუდმივად ცხოვრების უფლება.

თავი III.

ცენტრალური ორგანოები და აკრედიტირებული ორგანოები

მუხლი 6.

1. ხელშემკვერელი სახელმწიფო ნიშნავს ცენტრალურ ორგანოს იმ ვალდებულებათა შესასრულებლად, რომლებიც დაკისრებული აქვთ ასეთ ორგანოებს კონვენციის თანახმად.

2. ფედერალურ ორგანოებს, სახელმწიფოებს ერთმე მეტი სამართლებრივი

სისტემით ან სახელმწიფოებს, რომლებსაც აქვთ ავტონომიური ტერიტორიული ერთეულები, შეუძლიათ ერთზე მეტი ცენტრალური ორგანოს დანიშვნა და ტერიტორიული ან მათი კერძო ფუნქციების მოცულობის დაზუსტება. როდესაც სახელმწიფო დანიშნავს ერთ ცენტრალურ ორგანოზე მეტს, იგი მიუთითებს იმ ცენტრალურ ორგანოს, რომლის მისამართზე შესაძლებელია ნებისმიერი შეგყობინების გაგზავნა შესაბამისი ცენტრალური ორგანოსათვის გადასაცემად იმ ქვეყნის ფარგლებში.

მუხლი 7.

1. ცენტრალური ორგანოები ითანამშრომლებენ ერთმანეთთან და ხელს შეუწყობენ თავიანთ სახელმწიფოებში თანამშრომლობას კომპეტენტურ ხელისუფლებებს შორის ბავშვთა დაცვის დარგში და კონვენციის სხვა მიზნების მისაღწევად.

2. ისინი უშუალოდ იღებენ შესაბამის ზომებს, რათა:

a) წარადგინონ ინფორმაციები თავიანთი ქვეყნების კანონების შესახებ, რომლებიც შეეხება გაშვილების საკითხებს, და სხვა ზოგადი ინფორმაცია, როგორცაა სტატისტიკური მონაცემები და სტანდარტული ფორმები;

b) აცნობონ ერთმანეთს კონვენციის მოქმედების შესახებ და, რამდენადაც შესაძლებელია, აიცილონ ყველა დაბრკოლება კონვენციის გამოყენების საქმეში;

მუხლი 8.

ცენტრალური ორგანოები უშუალოდ ან სახელმწიფო ხელისუფლების მეშვეობით იღებენ შესაბამის ზომებს გაუმართლებელი ფინანსური ან სხვა სარგებლობის აცილების მიზნით გაშვილების დროს და ყველა იმ ნებისმიერი პრაქტიკის ასაცილებლად, რომელიც ეწინააღმდეგება კონვენციის მიზნებს.

მუხლი 9.

ცენტრალური ორგანოები უშუალოდ ან სახელმწიფო ხელისუფლებისა და თავიანთ ქვეყნებში რწმუნებული სხვა ორგანიზაციების დახმარებით აგარებენ შესაბამის ღონისძიებებს იმისათვის, რომ:

a) შეაგროვონ, დაიცვან და გაუცვალონ ერთმანეთს ინფორმაციები ბავშვის მდგომარეობისა და პერსპექტიული მშვილებლების შესახებ, რაც სავალდებულოა გაშვილების აქტის შესასრულებლად;

b) გაუადვილონ, დაიცვან და დააჩქარონ გაშვილების პროცედურა;

c) ხელი შეუწყონ კონსულტაციების ჩატარებას გაშვილებისა და დახმარების შესახებ გაშვილების განხორციელების შემდგომ თავიანთ სახელმწიფოებში;

d) უზრუნველყონ ერთმანეთი საერთო შემფასებელი მოხსენებებით, საერთაშორისო გაშვილების დარგში გამოცდილებების შესახებ;

e) უპასუხონ, რამდენადაც ეს ნებადართულია მათი სახელმწიფოს კანონმდებლობით, სხვა ცენტრალური და სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დასაბუთებულ მოთხოვნას გაშვილების სფეროში კონკრეტულ მდგომარეობასა და სიტუაციებზე ინფორმაციების მიწოდების შესახებ.

მუხლი 10.

უფლებამოსილება ეძლევათ მხოლოდ იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც შესწევთ

მათ წინაშე დასმული ამოცანების კომპეტენტურად და სათანადოდ შესრულების უნარი.

მუხლი 11.

აკრედიტებული ორგანო:

a) სახელმწიფოს კომპეტენტური ხელისუფლების მიერ დაწესებულ პირობებისა და ფარგლების თანახმად ისახავს მხოლოდ იმ მიზნებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული რაიმე სარგებელთან;

b) იმართება და კომპლექტდება ეთიკური სტანდარტების თანახმად მომზადებული პერსონალი, რომელსაც აქვს შესაბამისი განათლება და გამოცდილება საერთაშორისო გაშვილების დარგში;

c) უფლებამოსილი ორგანიზაციის შემადგენლობას, მოღვაწეობასა და ფინანსურ საქმიანობას კონტროლს უწევს ამ სახელმწიფოს კომპეტენტური ხელისუფლება.

მუხლი 12.

იმ ორგანიზაციას, რომელიც უფლებამოსილია ერთ-ერთ ხელშემკვრელი სახელმწიფოში, შეუძლია შეასრულოს თავისი ფუნქციები მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოში, თუ ეს ორივე ხელშემკვრელი სახელმწიფო მისცემს მას ასეთ უფლებამოსილებას.

მუხლი 13.

თითოეული სახელმწიფო სახელმწიფო ვალდებულია აცნობოს ჰააგის საერთაშორისო კერძო სამართლის კონვენციის მუდმივ ბიუროს ცენტრალური ორგანოების დასახელება და იქ, სადაც ამის აუცილებლობაა, მათი ფუნქციების მოცულობა, აგრეთვე უფლებამოსილი ორგანიზაციების დასახელება და მათი მისამართი.

თავი IV.

საერთაშორისო გაშვილების პროცედურული მოთხოვნები

მუხლი 14.

პირები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ ერთ ხელშემკვრელი სახელმწიფოში და სურთ მეორე სახელმწიფოში მუდმივად მცხოვრები ბავშვის შვილად აყვანა, მიმართავენ სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოს მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მუხლი 15.

1. თუ მიმღები სახელმწიფოს ცენტრალური ორგანო დარწმუნებულია იმაში, რომ განმცხადებლებს აქვთ შვილად აყვანის უფლება და არიან ამისათვის შესაფერისნი, იგი ამზადებს მოხსენებას, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მათი პიროვნებების, უფლებებისა, მშვილებლად შესაბამისობის შესახებ, ბიოგრაფიულ მონაცემებს, ავადმყოფობის ისტორია, ოჯახის ისტორიას, ცნობებს სოციალური გარემოცვის შესახებ, შვილად აყვანის მიზეზებს, საერთაშორისო გაშვილების განხორციელების შესაძლებლობებს. აგრეთვე ცნობებს იმ ბავშვების შესახებ, რომელთა აყვანაც სურთ და მათზე მზრუნველობას აპირებენ.

2. მიმღები სახელმწიფოს ცენტრალური ორგანო გადასცემს ამ მოხსენებას

წარმოშობის სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოს.

მუხლი 16.

1. თუ წარმოშობის სახელმწიფოს ცენტრალური ორგანო დარწმუნებულია, რომ შესაძლებელია ბავშვის გაშვილება, იგი:

a) ამზადებს მოხსენებას, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ბავშვის პიროვნების, გაშვილების შესაძლებლობის, ბიოგრაფიული მონაცემების, სოციალური გარემოცვის შესახებ, ოჯახის ისტორიას, ბავშვისა და მისი ოჯახის წევრების ავადმყოფობის ისტორიას და ბავშვის განსაკუთრებულ მოთხოვნებს;

b) ითვალისწინებს ბავშვის აღზრდას, მის ეთიკურ, რელიგიურ, კულტურულ წარმოშობას;

c) უზრუნველყოფს თანხმობის მიღებას პირველი მუხლის შესაბამისად;

d) მოხსენებების საფუძველზე ბავშვისა და სავარაუდო მშობლების შესახებ, განსაზღვრავს იმას, პასუხობს თუ არა გათვალისწინებული პროგრამა ბავშვის ინტერესებს.

2. გადასცემს მიმღები სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოს მოხსენებით ბარათს ბავშვის შესახებ და თანხმობის არსებობის დამადასტურებელ საბუთებს, ბავშვის გადაადგილების მიზნებს. ამასთან ბავშვის დედ-მამის შესახებ ცნობები საიდუმლოებას წარმოადგენს იმ შემთხვევაში, თუ ამის გამოქვეყნება იკრძალება წარმოშობის სახელმწიფოში.

მუხლი 17.

წარმოშობის სახელმწიფოს ნებისმიერი გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ შესაძლებელია ბავშვის ნდობა სავარაუდო მშობლებისადმი, შეიძლება მიღებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

a) ამ სახელმწიფოს ცენტრალურმა ორგანომ უზრუნველყო სავარაუდო მშობლების თანხმობა;

b) მიმღები სახელმწიფოს ცენტრალურმა ორგანომ აღიარა ასეთი გადაწყვეტილება, სადაც აღიარება საჭიროებას წარმოადგენს ამ სახელმწიფოს კანონით ან წარმოშობის სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოსათვის;

c) ორივე სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოები შეთანხმდნენ იმის თაობაზე, რომ გაშვილება შესაძლებელია;

d) მიმღებმა სახელმწიფომ განსაზღვრა მე-5 მუხლის შესაბამისად, რომ სავარაუდო მშობლებს აქვთ შვილების უფლება და შესაფერისნი არიან ამისათვის და, რომ ბავშვს ეძლევა მიმღებ სახელმწიფოში შესვლისა და მუდმივად იქ ცხოვრების უფლება.

მუხლი 18.

ორივე სახელმწიფოს ცენტრალური ორგანო ცდილობს მიიღოს თანხმობა იმის შესახებ, რომ ბავშვს აქვს წარმოშობის სახელმწიფოდან გასვლის, მიმღებ სახელმწიფოში შესვლისა და იქ მუდმივად ცხოვრების უფლება.

მუხლი 19.

1. ბავშვის გადაცემა მიმღებ სახელმწიფოში ხორციელდება მე-17 მუხლის მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში.

2. ორივე სახელმწიფოს ცენტრალური ორგანო უზრუნველყოფს ბავშვის უსაფრთხო გადაცემას, შესაბამის პირობებში და თუ ეს შესაძლებელია, მშვილებლების ან სავარაუდო მშვილებლების თანხლებით.

3. თუ ბავშვის გადაცემა არ განხორციელდება, მე-15 და მე-16 მუხლებში აღნიშნული მოხსენებები უნდა დაუბრუნდეს იმ ორგანოებს, რომლებმაც მოამზადეს ისინი.

მუხლი 20.

ცენტრალური ორგანოები აცნობებენ ერთმანეთს გაშვილების პროცესის მიმდინარეობის, მისი დასრულებისათვის გადადგმული ნაბიჯებისა და აგრეთვე ბავშვის მოთავსების პროცესის მიმდინარეობის შესახებ, როცა ეს გამოსაცდელ ვადას მოითხოვს.

მუხლი 21.

1. იმ შემთხვევაში, თუ გაშვილებას ჰქონდა ადგილი ბავშვის გადაცემის შემდეგ მიმდებ სახელმწიფოში და ამ სახელმწიფოს ცენტრალურმა ორგანომ დაადგინა, რომ სავარაუდო მშვილებლეთან ცხოვრების დროს ირღვევა ბავშვის ინტერესები, ასეთი ცენტრალური ორგანო აგარებს ღონისძიებებს ბავშვის დაცვის მიზნით, კერძოდ:

a) ჩამოართმევს ბავშვს სავარაუდო მშობლებს და ახორციელებს მასზე დროებით მეურვეობას;

b) წარმოშობის სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოსთან კონსულტაციების შემდეგ დაუყოვნებლივ ახორციელებს ბავშვის ახალ ადგილზე მოთავსებას გაშვილების მიზნით და, თუ ეს უკანასკნელი კვლავ არ პასუხობს მოთხოვნებს, ახორციელებს ალტერნატიულ ხანგრძლივ მეურვეობას მასზე; გაშვილებას არ ექნება ადგილი იმ დრომდე, სანამ წარმოშობის სახელმწიფოს ცენტრალური ორგანო არ იქნება სათანადოდ ინფორმირებული ახალი სავარაუდო მშობლების შესახებ;

c) უკანასკნელ შემთხვევაში უკეთებს ორგანიზაციას ბავშვის დაბრუნებას მისი ინტერესებიდან გამომდინარე.

2. ბავშვის ასაკისა და მოწიფულობის ღონიდან გამომდინარე, სადაც ეს სავალდებულოა, აგარებენ მასთან კონსულტაციებს, იღებენ მისგან თანხმობას გასაგარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით.

მუხლი 22.

1. მეოთხე თავის თანახმად, ცენტრალური ორგანოს ფუნქციებს ახორციელებს სახელმწიფოს ხელისუფლება ან მესამე თავის თანახმად უფლებამოსილი ორგანიზაციები იმ მოცულობით, რასაც დასაშვებად მიიჩნევს ამ სახელმწიფოს კანონი.

2. ნებისმიერ ხელშემკვერელ სახელმწიფოს აქვს უფლება განუცხადოს კონვენციის დეპოზიტარს, რომ მე-15 და 21-ე მუხლების თანახმად ცენტრალური ორგანოს ფუნქციები ასეთ სახელმწიფოში კანონით ნებადართული მოცულობით და ამ სახელმწიფოს კომპეტენტური ხელისუფლების კონკრული, აგრეთვე ორგანიზაციებისა და პირების საშუალებით, რომლებიც:

a) პასუხობენ პატიოსნების, პროფესიული კომპეტენტურობის, გამოცდილების მოთხოვნებს და ანგარიშვალდებული არიან სახელმწიფოს წინაშე;

b) აქვთ ეთიკური თვისებები, განათლება და საერთაშორისო გაშვილების დარგში მუშაობისათვის შესაბამისი გამოცდილება;

3. ხელშემკვრელი სახელმწიფო, რომელიც წარმოადგენს მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას, აცნობებს ჰააგის საერთაშორისო კერძო სამართლის კონვენციას მუდმივი ბიუროს ამ ორგანიზაციებისა და პირების დასახელებასა და მისამართებს.

4. ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია განუცხადოს კონვენციის დეპოზიტარს, რომ მის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები ბავშვის გაშვილება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცენტრალური ორგანოს ფუნქციები განხორციელებულია პირველი პუნქტის შესაბამისად.

5. მიუხედავად მე-2 პუნქტის თანახმად გაკეთებული ნებისმიერი განცხადებისა, მე-15 და მე-16 მუხლებში გათვალისწინებული მოხსენება ყველა შემთხვევაში მზადდება ცენტრალური ორგანოს, ხელისუფლებისა ან ორგანიზაციების ხელმძღვანელობით პირველი პუნქტის შესაბამისად

თავი V **გაშვილების აღიარება და შედეგები**

მუხლი 23.

1. გაშვილება, რომელსაც აფორმებს იმ სახელმწიფოს კომპეტენტური ხელისუფლება, სადაც წარმოებს გაშვილება კონვენციის შესაბამისად, აღიარებულ უნდა იქნას სხვა ხელშემკვრელ სახელმწიფოთა კანონით. დამოწმებული მოწმობა ამუსტებს როდის და ვის მიერ იქნა გაცემული მე-17 მუხლის „ც“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხმობა.

2. თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფო ხელმოწერის, რატიფიცირების, მიღებისა ან შეერთების დროს აცნობებს კონვენციის დეპოზიტარს იმ ორგანოსა და ხელისუფლების სახელწოდებასა და ფუნქციებს, რომლებსაც აქვთ მოწმობის გაცემის უფლება ამ სახელმწიფოში. იგი ავრეთვე აცნობებს დეპოზიტარს ამ ორგანოების სახელწოდებაში ნებისმიერი ცვლილების შესახებ.

მუხლი 24.

ხელშემკვრელ სახელმწიფოში გაშვილების აღიარებაზე უარის თქმა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაშვილება ნამდვილად ეწინააღმდეგება მის სახელმწიფო პოლიტიკას და არ ითვალისწინებს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.

მუხლი 25.

ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია განუცხადოს კონვენციის დეპოზიტარს, რომ კონვენციის თანახმად ის არ იქნება იძულებული აღიაროს გაშვილების ფაქტები, რომლებიც განხორციელდა 39-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე დადებული ხელშეკრულების შესაბამისად.

მუხლი 26.

1. გაშვილების აღიარება შეიცავს:

- a) ბავშვსა და მშობლებს შორის ურთიერთ სამართლებრივ დამოუკიდებლობას;
- b) მშობლების პასუხისმგებლობას ბავშვების წინაშე;
- c) ბავშვსა და მშობლებს შორის აღრე არსებული სამართლებრივი ურთიერთობების შეწყვეტას, თუ გაშვილებას მოჰყვა ასეთი შედეგები ხელშემკვრელ

სახელმწიფოში, სადაც მას ადგილი ჰქონდა .

2. იმ შემთხვევაში, თუ გაშვილებას თან სდევს ბავშვსა და მშობლებს შორის აღრე არსებული სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტა, მიმღებ ან რომელიმე სხვა ხელშემკვრელ სახელმწიფოში, სადაც გაშვილება აღიარებულია, ბავშვს შეუძლია ისარგებლოს ისეთივე უფლებებით, რომლებიც მოყვება გაშვილების ამგვარ შემთხვევებს ყველა ამ ქვეყანაში.

3. წინა პუნქტები არ ეწინააღმდეგება ბავშვისათვის უფრო ხელსაყრელი გაშვილების ნებისმიერი დებულების გამოყენებას, რომელიც მოქმედებს ხელშემკვრელ სახელმწიფოში.

მუხლი 27.

1. იქ, სადაც გაშვილებას, რომელიც ნებადართულია ასეთ სახელმწიფოში, შედეგად არ მოაქვს ბავშვსა და მშობლებს შორის აღრე არსებული სამართლებრივი ურთიერთობების შეწყვეტა, მას შეუძლია მიმღებ სახელმწიფოში, რომელიც აღიარებს გაშვილებას კონვენციის შესაბამისად, შეცვალოს ისეთ გაშვილებაში, რომელსაც ექნება ასეთი შედეგები იმ შემთხვევაში:

a) თუ მიმღები სახელმწიფოს კანონით ეს ნებადართულია;

b) თუ თანხმობა, რომელიც აღნიშნულია მე-4 მუხლის „c“ და „d“ პუნქტებში მიღებულია ან იქნება მიღებული ასეთი გაშვილების მიზნით;

2. 23-ე მუხლი ეხება გაშვილების შეცვლის გადაწყვეტილებას.

თავი VI ზოგადი დებულებები

მუხლი 28.

კონვენცია არ ეხება წარმოშობის სახელმწიფოს ნებისმიერ კანონს, რომელიც მოითხოვს, რომ ამ ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები ბავშვის გაშვილება მოხდეს ამავე სახელმწიფოში ან, რომელიც კრძალავს ბავშვის მოთავსებას ან მის გადაცემას მიმღებ სახელმწიფოში გაშვილებამდე.

მუხლი 29.

დაუშვებელია სავარაუდო მშობლებისა და ბავშვის მშობლებს ან ბავშვზე მზრუნველ სხვა რომელიმე პირს შორის კონტაქტების არსებობა მანამ, სანამ არ შესრულდება მე -4 მუხლის „a“ და „c“ ქვეპუნქტები, მე -5 მუხლის „a“ ქვეპუნქტის მოთხოვნები, თუ გაშვილებას არა აქვს ადგილი ოჯახის ფარგლებში ან, თუ ასეთი კონტაქტები შეესაბამება წარმოშობის სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ დადგენილ მოთხოვნებს.

მუხლი 30.

1. ხელშემკვრელ სახელმწიფოთა კომპეტენტური ხელისუფლებანი უმზრუნველყოფენ მათ ხელთ არსებული იმ ინფორმაციის შენახვას, რომელიც შეეხება ბავშვის წარმოშობას, კერძოდ მის მშობლებს და ჯანმრთელობის მდგომარეობას.

2. ასეთი ინფორმაციები მისაწვდომი შეიძლება გახდეს ბავშვისა ან მისი წარმომადგენლებისათვის მხოლოდ შესაბამისი ხელმძღვანელობის ქვეშ, რამდენადაც ეს ნებადართულია ამ სახელმწიფოს კანონით.

მუხლი 31.

30-ე მუხლის არასაზიანოდ კონვენციის მიხედვით შეგროვილი ან გაცემული პირადი ხასიათის ცნობები, განსაკუთრებით ცნობები მე -15 და მე -16 მუხლების შესაბამისად, გამოიყენებიან მხოლოდ იმ მიზნებისათვის, რისთვისაც ისინი შეგროვილი ან გადაცემულ იქნან.

მუხლი 32.

1. არავის არ აქვს უფლება გაუმართლებელი ფინანსური ან სხვა სარგებლობის მიღება იმ სარგებლობისათვის, რომელიც მიეკუთვნება საერთაშორისო გაშვილებას.

2. შესაძლებელია მხოლოდ გასვლების, დანახარჯებისა და გაშვილების საქმიანობასთან დაკავშირებულ პირთათვის ზომიერი, პროფესიული ჰონორარების დაღვენა და გაცემა.

3. ხელმძღვანელები, ადმინისტრატორები და გაშვილების საქმიანობაში ჩაბმული ორგანოების მომსახურე პერსონალი არ იღებენ ისეთ გასამრჯელოს, რომელიც გაწეული მომსახურებისათვის დაუსაბუთებლად დიდია.

მუხლი 33.

კომპეტენტური ორგანო, რომელიც აღმოაჩენს, რომ კონვენციის რომელიმე დებულება არ არის დაცული ან არსებობს მისი შეუსრულებლობის საშიშროება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ თავის სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოს.

ცენტრალური ორგანო პასუხისმგებელია შესაბამისი ზომების მიღების უზრუნველყოფაზე.

მუხლი 34.

თუ სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანო მოითხოვს საბუთს, მას უნდა წარედგინოს ორიგინალის შესაბამისი დამოწმებული თარგმანი, თუ არ არის გათვალისწინებული სხვა რამ, თარგმანისთვის საჭირო ხარჯები დაეკისრებათ მომავალ მშვილებლებს.

მუხლი 35.

სახელმწიფოებო სახელმწიფოთა კომპეტენტური ორგანოები გაშვილების პროცესის დროს მოქმედებენ სწრაფად.

მუხლი 36.

იმ სახელმწიფოს მიმართ, რომელსაც აქვს სამართლის ორი ან მეტი სისგემა შვილად აყვანის საკითხში სხვადასხვა გერიგორიულ ერთეულებში გამოყენებისათვის:

a) ამ სახელმწიფოში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ნებისმიერი ხსენება გაგებულ უნდა იქნას, როგორც მიმართება ამ სახელმწიფოს გერიგორიულ ერთეულში მუდმივი საცხოვრებელი ადგილისადმი;

b) ამ სახელმწიფოს კანონის ნებისმიერი ხსენება გაგებულ უნდა იქნას, როგორც მიმართება შესაბამის გერიგორიულ ერთეულზე მოქმედ კანონისადმი;

c) ამ სახელმწიფოს კომპეტენტური ხელისუფლების ან სახელმწიფო ხელისუფლების ნებისმიერი ხსენება გაგებულ უნდა იქნას, როგორც მიმართება გერიგორიული ერთეულში მოქმედი შესაბამისი ხელისუფლებისადმი;

d) ამ სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანიზაციების ნებისმიერი ხსენება აგებულ უნდა იქნას, როგორც მიმართება შესაბამისი გერიგორიულ ერთეულის უფლებამოსილ ორგანიზაციებისადმი.

მუხლი 37.

იმ სახელმწიფოს მიმართ, სადაც მოქმედებს ორი ან ორზე მეტი გაშვილების სისტემა, რომლებიც არეგულირებენ სხვადასხვა კატეგორიის პირთა ურთიერთობას, ნებისმიერი დაყრდნობა ამ სახელმწიფოს სამართალზე განიმარტება როგორც ამ სახელმწიფოს სამართლის სისტემასთან შეფარდებული სახელმწიფოს კანონის მითითებით.

მუხლი 38.

სახელმწიფო, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა გერიგორიულ ერთეულებს გააჩნიათ თავიანთი საკუთარი სამართლებრივი ნორმები შვილად აყვანის საკითხში, ვალდებული არ არის მიიღოს კონვენციის დებულებები, თუ კი სამართლის ერთიანი სისტემის მქონე სახელმწიფო ვალდებული არ არის გააკეთოს ეს.

მუხლი 39.

1. კონვენცია არ ეხება იმ საერთაშორისო საბუთს, რომელთა შედგენაში მონაწილეობა მიიღეს ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა და რომლებიც შეიცავენ დებულებებს კონვენციით რეგულირებულ საკითხებზე თუ არ არის გაკეთებული საწინააღმდეგო განცხადება ასეთი საბუთის შესახებ წევრ-სახელმწიფოების მიერ.

2. ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია დადოს შეთანხმება ერთ და რამდენიმე ხელშემკვრელ სახელმწიფოსთან კონვენციის უკეთ გამოყენების მიზნით. ამ შეთანხმებებმა შეიძლება გადაუხვიონ მხოლოდ მე -14, მე -16, მე -18 და 21-ე მუხლების დებულებებს. სახელმწიფოები, რომლებმაც დადეს ასეთი თანხმობა, გადასცემენ შეთანხმების ასლს კონვენციის დეპოზიტარს.

მუხლი 40.

არავითარი დამატებითი შენიშვნა კონვენციასთან დაკავშირებით არ დაიშვება.

მუხლი 41.

კონვენცია გამოიყენება ყველა შემთხვევაში, როდესაც მე -14 მუხლით გათვალისწინებული განცხადება მიღებულ იქნა კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ მიმდებსა და წარმოშობის სახელმწიფოებში.

მუხლი 42.

ჰააგის საერთაშორისო კერძო სამართლის კონფერენციის გენერალური მდივანი რეგულარულად იწვევს სპეციალურ კომისიას კონვენციის პრაქტიკული მოქმედების განსახილველად.

თავი VII **დასკვნითი დებულებები**

მუხლი 43.

1. კონვენცია ღიაა ჰააგის საერთაშორისო კერძო სამართლის კონფერენციის

მეჩვიდმეტე სესიის წევრ-სახელმწიფოთა, აგრეთვე სესიის მუშაობაში მონაწილე სხვა სახელმწიფოების მიერ ხელმოსაწერად.

2. იგი უნდა იქნას რაგიფიცირებული, მიღებული, მოწონებული და საბუთები რაგიფიცირების, მიღებისა და მოწონების შესახებ ჩაბარდეს კონვენციის დეპოზიტარს ჰოლანდიის სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს.

მუხლი 44.

1. ნებისმიერ სხვა სახელმწიფოს შეუძლია შეუერთდეს კონვენციას მისი ძალაში შესვლის შემდეგ 46-ე მუხლის პირველ პუნქტის შესაბამისად.

2. შეერთების შესახებ საბუთები ბარდება შესანახად დეპოზიტარს.

3. ასეთი შეერთება ითვლება კანონიერად იმ შემთხვევაში, გაერთიანებული და ხელშემკვრელი სახელმწიფოები არ წამოაყენებენ წინააღმდეგობას მათი შეერთების წინააღმდეგ ექვსი თვის განმავლობაში მიღებული შეცვობინების შემდეგ (48-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი). ასეთი სახის წინააღმდეგობის წამოყენება შეუძლიათ სახელმწიფოებს აგრეთვე კონვენციის რაგიფიცირების. მიღებისა და მოწონების დროს, შეერთების შემდეგ.

ნებისმიერი ასეთი წინააღმდეგობა უნდა ეცნობოს დეპოზიტარს.

მუხლი 45.

1. თუ სახელმწიფოს აქვს ერთი ან ერთზე მეტი ტერიტორიული ერთეულები, სადაც მოქმედებენ სამართლის სხვადასხვა სისტემები კონვენციაში განხილული საკითხების შესახებ, მას შეუძლია განაცხადოს ხელმოწერის, რაგიფიცირების, მიღების, მოწონების ან შეერთების დროს, რომ ეს კონვენცია ვრცელდება ყველა მის ტერიტორიულ ერთეულებში ან მხოლოდ ერთში, ან მეტი ერთეულში მათ შორის. მას შეუძლია ამ განცხადების შეცვლა და მეორე განცხადების წარდგენა ნებისმიერ დროს.

2. ნებისმიერი ასეთი განცხადების შესახებ უნდა ეცნობოს კონვენციის დეპოზიტარს.

3. თუ სახელმწიფო არ აკეთებს ასეთ განცხადებას ამ მუხლის შესაბამისად, მაშინ კონვენცია ვრცელდება ამ სახელმწიფოს ყველა ტერიტორიულ ერთეულში.

მუხლი 46.

1. კონვენცია შედის ძალაში პირველი დღიდანვე 43-ე მუხლში აღნიშნული რაგიფიცირების, მიღების ან მოწონების შესახებ მესამე საბუთის შესანახად გადაცემიდან სამი თვის გასვლის შემდეგ.

1. შემდგომში კონვენცია შედის ძალაში:

2. ყველა სახელმწიფოსათვის, რომელიც ახდენს კონვენციის რაგიფიცირებას, მიღებას, მოწონებას ან უერთდება მას, მისი რაგიფიცირების, მიღების, მოწონების ან შეერთების შესახებ საბუთების შესანახად გადაცემიდან სამი თვის გასვლის შემდგომი თვის პირველი დღიდანვე.

a) ტერიტორიულ ერთეულებისათვის, რომლებზეც კონვენცია ვრცელდება 45-ე მუხლის შესაბამისად, სამი თვის გასვლის შემდგომი თვის პირველ დღიდანვე ამ მუხლში აღნიშნული შეცვობინების შემდეგ.

მუხლი 47.

1. კონვენციის მონაწილე ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია მისი დენონსირება

წერილობითი ფორმით დეკომიგარის მისამართით.

2. დენონსირება შედის ძალაში პირველი დღიდანვე დეკომიგარის მიერ მიღებული შეცვობინებიდან თორმეტი თვის გასვლის შემდეგ. როდესაც შეცვობინებაში აღნიშნულია დენონსაციის ძალაში შესვლის უფრო ხანგრძლივი ვადა, დენონსაცია ძალაში შედის ამ პერიოდისა და დეკომიგარის მიერ მიღებული შეცვობინების შემდეგ.

მუხლი 48.

დეკომიგარი აცნობებს ჰააგის საერთაშორისო კერძო სამართლის კონვენციის წევრ-სახელმწიფოებს, აგრეთვე მეჩვიდმეტე სესიაში მონაწილე სხვა სახელმწიფოებს და შეერთებულ სახელმწიფოებს 44-ე მუხლის თანახმად, შემდეგს:

a) 43-ე მუხლში აღნიშნული ხელმოწერის, რაგვიფიცირების, მიღებისა და მოწონების შესახებ;

b) 44-ე მუხლში აღნიშნული შეერთების და შეერთების წინააღმდეგ განცხადებების შესახებ;

c) 46-ე მუხლის შესაბამისად კონვენციის ძალაში შესვლის შესახებ;

d) 22-ე, 23-ე, 25-ე და 45-ე მუხლებში აღნიშნული განცხადებებისა და დანიშვნების შესახებ;

e) 39-ე მუხლში აღნიშნული შეთანხმების შესახებ;

f) 47-ე მუხლში აღნიშნული დენონსაციის შესახებ.

ამის დასადასტურებლად უფლებამოსილი აწერენ ხელს ამ კონვენციას.

შესრულებულია 1993 წლის 29 მაისს ინგლისურ და ფრანგულ ენებზე ერთ ეგზემპლარად, რომელიც გადაეცემა ჰოლანდიის სამეფოს დაცვისათვის, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვთ.

ამ ტექსტის დამოწმებული ასლები გადაეგზავნება დიპლომატიური არხებით ჰააგის საერთაშორისო კერძო სამართლის კონვენციის წევრ-სახელმწიფოებს მეჩვიდმეტე სესიის თარიღით და აგრეთვე ყველა სხვა სახელმწიფოს, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა სესიის მუშაობაში.